With funding from
Austrian Development Cooperation

World Vision GEORGIA

ბავშვის უფლებათა კოდექსის განხორციელება საქართველოში

ოჯახების მხარდაჭერა სოციალური სერვისების განვითარების გზით

პროექტი: ბავშვის უფლებების კოდექსის განხორციელება საქართველოში

ხანგრძლივობა: 2 წელი

დონორი: ავსტრიის განვითარების სააგენტო

პროექტის შესახებ:

World Vision საქართველოს პროექტის „ბავშვის უფლებების კოდექსის განხორციელება საქართველოში“ მიზანია ისახავს ბავშვთა დაცვის მექანიზმების გაძლიერებას ეროვნულ და მუნიციპალურ დონეზე, კოორდინირებული მონიტორინგის მექანიზმის, სოციალური სერვისების და პრევენციული პროგრამების განვითარების გზით. რაც, თავის მხრივ, ხელს უწყობს ბავშვის დაცვისა და კეთილდღეობის სისტემაში ჩართული მხარეების კოორდინირებულ მუშაობას და ბავშვის უფლებათა კოდექსის განხორციელებას საქართველოში.

სამიზნე რეგიონები:

ქუთაისი
ბაღდათი
ზესტაფონი
ხუსეთის ფედერაცია
აფხაზეთი
ზემო-
სვანეთი
იმერეთი
მცხეთა-
მთიანეთი
მიდ
ქართლი
ბაქარა
ბათუმი
ბორჯომი
ადიგენი
ახალციხე
ქვემო-ქართლი
ჯავახეთი
ბორჯომი
ადიგენი
ახალციხე
ბორჯომი
ადიგენი
ბორჯომი
ადიგენი
ბორჯომი
ადიგენი

პროექტი მოიცავს 4 მთავარ კომპონენტს:

- საქართველოს პარლამენტთან არსებული ბავშვთა უფლებების მუდმივმოქმედი საბჭოს მხარდაჭერას, რაც მოიცავს ბავშვის უფლებათა კოდექსის ეფექტური განხორციელებისთვის მონიტორინგის ჩარჩოსა და დეტალური სამოქმედო გეგმის შემუშავებას; არასამთავრობო ორგანიზაციებისა და სხვა დაინტერესებული მხარეებისთვის ბავშვთა დაცვის მომსახურებების გარე მონიტორინგის სახელმძღვანელოს შემუშავებას დაადვოკატირებას საკანონმდებლო დონეზე შესაბამისი ცვლილებების შეტანის მიზნით.

- ბავშვთა დაცვის მართვის პროცესებისა და კოორდინაციის ხელშეწყობას ეროვნულ და მუნიციპალურ დონეზე, რაც მოიცავს სახელმწიფო ზრუნვის სააგენტოსა და მუნიციპალურ სოციალურ მუშაკებს შორის სოციალური სამუშაოს ზედამხედველობის ერთობლივი მექანიზმის შემუშავებას და პილოტირებას შერჩეულ 15 მუნიციპალიტეტში. სახელმწიფო და მუნიციპალური სოციალური მუშაკების გადამზადებას რეფერირების მექანიზმისა და კოორდინაციის გასაუმჯობესების მიზნით.

- ბავშვის/ოჯახის მხარდამჭერი მომსახურების პილოტირებას, რომელიც ორიენტირებულია ბავშვების საჭიროებების გამოვლენაზე, თერაპიული პროგრამების შემუშავებასა და პილოტირებაზე მიუსაფარ ბავშვთა ცენტრებში.

- მოწყვლადი ოჯახების სოციალურ-ეკონომიკურ გაძლიერებას, რაც მოიცავს ბინაზე ვიზიტის სერვისს, საჭიროების შეფასებას, მათი უნარების განვითარებას და შესაბამისი რესურსით აღჭურვას, რომ ოჯახმა შეძლოს საკუთარი მცირე ეკონომიკური საქმიანობით შემოსავლის მიღება.

სამიზნე ჯგუფები:

მუნიციპალურ დონეზე:

150 მუნიციპალური ბავშვთა და ოჯახის სოციალური მუშაკი
4500 სოციალურად დაუცველი ბავშვი, რომელიც ცხოვრობს ოჯახებთან ერთად
150 სახელმწიფო სააგენტოს სოციალური მუშაკი
1300 ბავშვი ცხოვრობს მცირე ზომის საოჯახო სახლებსა და მინდობით აღზრდაში
60 ბავშვზე მზრუნველი 3 ქუჩაში დაკავშირებული ბავშვთა ცენტრიდან
90 ქუჩაში დაკავშირებული ბავშვი
300 მერი და მერიის თანამშრომელი

ეროვნული მთავრობის დონეზე:

- საქართველოს პარლამენტთან არსებული ბავშვთა უფლებების მუდმივმოქმედი საბჭო
- სახელმწიფო ზრუნვის სააგენტო

პროექტი გემავს მოიცვას 35 000-მდე ყველაზე დაუცველი ბავშვი და 170 000-ზე მეტი ყველაზე დაუცველი ოჯახი მთელი ქვეყნის მასშტაბით.

პროექტის პარტნიორები:

- საქართველოს პარლამენტის ბავშვთა უფლებების მუდმივმოქმედი საბჭო
- სახელმწიფო ზრუნვისა და ტრეფიკინგის მსხვერპლთა, დაზარალებულთა დახმარების სააგენტო
- ადგოლობრივი მუნიციპალიტეტები